# ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | სამშაბათი, 24 აპრილი | № 1445

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო მიზნითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო მიზნითურთ გაიმართება 6 მაისს. შემოწირულებათა მომზავნა ამ მიზნისთვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

## ქართული თეატრი
ქართული დრამატიული საზოგადოება.
**კვირას, 29 აპრილს**

✿ გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის «პეპო»-ს 30 წლის სახსოვრად ✿
გაიმართება **სადღესასწაულო წარმოდგენა** წარმოდგენილი იქნება

I

**პეპო**

კომედ. 3 მოქ. თხზ გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

II

გ. ნ. სუნდუკიანცის პატივსაცემლად გაიმართება აქტი

ადგილების ფასი მომატებულია. დასაწყისი სწორედ $8^1/_2$ საათზე.

ბილეთები ისყიდება ყოველ დღე კასსაში.

გამგენი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა 1901 წელს.

**გამოფენა გაიხსნება ტფილისში 20 აგვისტოს და შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:**

მიწად-მოქმედება; მევენახეობა და მეღვინეობა; საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები; დეკორატიული ბაღოსნობა; ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა; ტყის მოვლა-მოშენება; შინაური ფრინველი; მერძევეობა და საქონლის მოვლა-მოშენება; მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა; მეთევზეობა და მონადირეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები; შინა და ხელოსნო მრეწველობა; საქარხნო მრეწველობა; სამთო მრეწველობა; საპედაგოგიო-საპროფესიოთ განყოფილება; სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება; სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება; სამხატვრო განყოფილება.

გამოფენის ბიურო და კომისარიატის კანცელარია იმყოფებიან კავკასიის სასოფლო-მეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, და გახსნილია ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე.

პირისპირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ შუადღის 1-ლ საათიდან 2-მდე კომისარიატის კანცელარიის სადგომში. (ნ. 10—6)

ტფილისის კერძო
## სამკურნალო
**მკურნალის გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და მკურნალობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელიქი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკოვიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ი. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრავატი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრავატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)


### მთავრობის განკარგულებანი
**სამხედრო უწყებას:**

შტაბს-კაპიტანს ჩხიკვიშვილს ებოძა კაპიტნობა, ხოლო მე-14 გრუზინსკის გრენადერის გენერალ კოტლიარევსკის სახელობის პოლკის პოდპრაპორჩიკს ამაშუკელს ებოძა პოდპორუჩიკობა.

## ყურნალ-გაზეთებიდან

✿ ავსტრიის პარლამენტში ჩეხის რადიკალებმა წინადადება შეიტანეს, რომ ავსტრიის ჯარის კაცებს ცუდად ინახავენ და მეტად ცუდად ექცევიან უფროსებით. ამის დასამტკიცებლად მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატებმა დიდძალი ფაქტი მოიყვანეს, ხოლო სამხედრო მინისტრმა ვერაფერი პასუხი ვერ მისცა. ამ მიზეზე კარგი სიტყვა პოლონელმა დეპუტატმა დაშინსკიმ წარმოსთქვა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი:

„ჯარი უსათუოდ უნდა განახლდეს; უსათუოდ საჭიროა, რომ ეს უღიერი უწინდებული სასჯელები მოსპობილ იქმნას.—ყოველ წელს ჩვენ დიდ-ძალ ხალხსა—ჩვენ ძმებს მსხვერპლად ვწირავთ მილიტარიზმის მოლოხს. ავსტრიის ჯარში უფრო მეტი ხალხი იკლავს თავს, სინამ სხვა რომელიმე განათლებულ ქვეყანაში. 100,000 ჯარის-კაცზე ინგლისში წელიწადში საშუალოდ 20 კაცი იკლავს თავსა, ბელგიაში—24, საფრანგეთში—33, იტალიაში—40, გერმანიაში—63, ხოლო ავსტრიაში კი ყოველ წელს საშუალოდ—131 კაცი იკლავს თავსა! ამავე დროს ავსტრიის სხვა მოსახლეობის 100,000 კაცზე ყოველ წელს საშუალოდ მხოლოდ 16 კაცი იკლავს თავსა".

✿ ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთ-აფრიკის, ურუგვაის რესპუბლიკის მთავრობამ იმ იეზუიტებსა და ბერებს, რომლებიც ურუგვაიში ევროპიდან მიდიან, ურუგვაიში მისვლა აღუკრძალა.

✿ გაზეთ «ტაიმს»-ს სწერენ ლონდონიდან: «ინგლისელ საზოგადოებას სჯერა, რომ გენერალი ფრენჩი ნამდვილად ტყვედ იყო წაყვანილი ბურების მიერ და შემდეგ განთავისუფლებული იყო იმ პირობით, რომ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა აღარ მიიღოს; სწორედ ამ მიზეზით ფრენჩი ზღვაში მოგზაურობას აპირებსო, და არა ავადმყოფობის გამო, როგორც გაზ. «ტაიმს»-ი იუწყებაო».

✿ გაზ. «მატენ»-ის კორესპონდენტს შემდეგი საინტერესო ცნობა მოჰყავს კიტჩენერსა და ბოტას შესახებ:

«გძელი საუბრის შემდეგ ბოტა ადგა და განაცხადა, რომ ჩემი წასვლის დრო არისო. ლორდ კიტჩენერს უპასუხია: «სად მიეჩქარებით გერე, თქვენ ხომ რკინის გზის მატარებლით არ მიდიხართ?—სრულიად მართალია,—უპასუხა ბოტამ,—მაგრამ მე ერთი მატარებელი უნდა ავაფეთქოო.

მართლაც და ერთი დღის შემდეგ, ვორდერფონტეინს ახლოს ბოტას ჯარმა ერთი ინგლისური მატარებელი ააფეთქა.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 23 აპრილს, დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, საქართველოს ექსარხოსის ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს მიერ, ქალაქის სამღვდელოებითურთ, გადახდილ იქმნა სიონის ტაძარში წირვა და სამადლობელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო, სამოქალაქო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დიდძალი მლოცველნი.

მთელი დღე ქალაქი მორთული იყო დროშებით, საღამოს-კი გაჩირაღდნებული.

✦ დუშეთიდან გვწერენ: კენჭის ყრით, აქაურ ქალაქის თავად ამოირჩიეს ერათეოზ გრიგოლის ძე ყარანგოზიშვილი, მის თანაშემწედ—ალექსანდრე მიხეილის ძე მარტიროსოვი.

✦ ახალ-სენაკიდან გვწერენ: 21 აპრილს ჩვენი დაბა ახალ-სენაკის მოვაჭრეებს სამაზრო მმართველობის დარბაზში ჰქონდათ საერთო კრება ასარჩევად დაბის დეპუტატებისა. კრებას დაესწრო 101 კაცამდე. ხმის უმეტესობით დეპუტატებად არჩეულ იქმნენ: ანტონ ქავთარაძე, მაკარ ვასკოვსკი, გიორგი ქავთარაძე და ნიკო ჯიჯიხია, მათ თანაშემწეებად—ბესარიონ გალობელი და ივანე კალანდარაშვილი.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დაიწყება დღეს, 24 აპრილს, დილის 9 საათზე.

✦ როგორც შევიტყვეთ, სათანადო მთავრობას გარდაუწყვეტია ტფილისში დააარსოს სამასწავლებლო სემინარია, რომელშიაც უმთავრესად სპეციალურად მოამზადებენ მასწავლებლებს სამრევლო სკოლებისათვის. მთავრობას ერთ ამიერ სემინარიისათვის შენობის ასაგებად გადაუდვია 100,000 მან.

✦ პრესსის წარმომადგენელთა გუშინდელ კრებაზე, გამოფენაზე ცალკე პავილიონის გამართვის შესახებ, დაადგინეს: 1) ამორჩეულ კომისსიას მიუმატონ კიდევ ორი წევრი, სახელდობრ: „კავკაზის" რედაქტორი ბეგიჩევი და „ტფილისის ფურცლისა" ხიზატუროვი; 2) აღებულ იქმნას პავილიონისათვის ადგილი ზომით 50 კვ. საჟენი, ხოლო პავილიონის ასაგებად და სხვა წვრილმან ხარჯისათვის შეიკრიბოს ტფილისის ყურნალ-გაზეთებისაგან 2100 მანეთი და 3) ამ პავილიონში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ტიპოგრაფებს, ლიტოგრაფებს და ფოტოგრაფებს, რომელთაც 15 მაისამდე უნდა განაცხადონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, ვინ რამდენ არშინს დაიკავებს პავილიონში.

✦ აპრილში შესრულდა 35 წელიწადი მას შემდეგ, რაც გამოცხადდა რუსეთში ახალის სასამართლოს კანონები—იმპერატორის ალექსანდრე მეორეს დებულებანი.

✦ აპრილშივე შესრულდა 35 წელიწადი, რაც დაარსდა რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება.

✦ გორის მაზრის სოფ. კლდის წყაროდგან ატყობინებენ გაზ. „კავკაზ"-ს, რომ იქ ცეცხლი წაჰკიდებია გლეხის ლონდლაძის სახლს, რისგანაც სულ ერთიანად გადასწვია მთელი უძრავ-მოძრავი ქონება. ფულად დასწვია ლონდლაძეს 220 მან. ცეცხლისაგან საწყალ გლეხს ზარალი მოსვლია სულ 3,000 მან.

✦ გუშინ-წინ მოხდა წლიური კრება ტფილისის საკომერციო ბანკის აქციონერთა, რომელზედაც საბჭოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ ა. ი. მანთაშევი, ი. ა. თაიროვი, ე. მ. აკოფოვი, დ. ფ. ხარაზოვი და ე. ა. დავიდოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩიეს თავ. ნ. გ. ბებუთოვი, ბ-ნი თათუზოვი და აბრამიანი. თითოეულს აქციას დივიდენდად ეძლევა 35 მ. („ნოვ. ობოზ.")

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება გუშინ, 23 აპრილს, წავიდა ს. შულავერში, სადაც დარჩება 3 მაისამდე. შულავერში ოლქის სასამართლოს განსახილველად აქვს სულ 50 საქმე.

✦ სახალხო სომხური წარმოდგენები აქამდის სუსტად მიდიოდა და ხალხიც კი გულგრილად ეკიდებოდა; ხან პიესები იყო უხერხული სახალხო თეატრში წარმოსადგენად, ხან სცენის მოყვარენი იყვნენ უგულოდ; სომეხთა მსახიობნიც არ ეკარებოდნენ სახალხო წარმოდგენას. მაგრამ უკანასკნელმა ორმა წარმოდგენამ ბ. ამოსის (ხარაზიანცი) მონაწილეობით, მშვენივრად ჩაიარა და დიდძალი ხალხიც მიიზიდა. 15

აპრილს წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“, თარგ. ტერ-დავითიანცისა; გაიოზის როლი მშვენივრად შეასრულა ბ. ამომ; კარგი იყო იგი აგრეთვე 22 აპრილის წარმოდგენაზე შეშლილი სტუდენტის როლში და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე; არა უშავდათ რა დანარჩენ მოთამაშეთაც. ორივე წარმოდგენას ეტყობოდა რეჟისსორის ხელი; რეჟისორობა უკისრნია ბ. ამოს სამუდამოდ. ამ მოკლე ხანში უნდა წარმოადგინონ სუნდუკიანცის კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“ ქ. და ბ. გულაზიანების მონაწილეობით.

# პროვინცია

**ქ. თელავი.** თელავის ქართველთა სასაფლაო ამ ჟამად უთვლად უნუგეშო მდგომარეობაშია. მთელი ადგილი სავსეა ქვებით და ჯაგჯუგით, სადაც მრავლად ბუდობენ ყოველ ჯიშის ქვეწარმავალნი. რადგანაც გარშემო მას ღობე არ არტყია, ამისთვის შედიან ოთხფეხი პირუტყვები. ერთი რიგიანი გზა ან ბილიკი არ არის გაკეთებული, რომ კაცს თავისუფლად შეეძლოს გავლა და მიცვალებულების საფლავის ფეხის აქცევა. ერთის სიტყვით, ხსენებული სასაფლაო წარმოადგენს, თუ რომ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილ-მდებარეობის სიმშვენიერეს, მივარდნილ ადგილს და თითქმის სანაგვესაც.

ადგილ მდებარეობათ-კი ეს კუთხე საუცხოვო რასმე წარმოადგენს: და რომ რიგიანად მოწყობილი იყოს, ერთი საუკეთესო სასეირნო ადგილი იქნებოდა.

ამ 2—2 ½ წლის წინედ გადმოიყვანეს დეკანოზი მიხეილ ხელაშვილი თელავის საკათედრო სობოროში. მან, რა დაინახა ეს სასაფლაო ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში, შეადგინა კომიტეტი თელავის სამღვდელოებისაგან და გულშემტკივნეული ერის კაცებისგან, რომლის თავმჯდომარედ თვითონვე არის. კომიტეტს საგნად აქვს შემოავლოს სასაფლაოს გალავანი, გაასწოროს ადგილი, სასაფლაოს ეკკლესიაში ხშირ-ხშირად წირვა-ლოცვის შესრულება და სხვ. კომიტეტმა გაამშვენიერა ეკკლესია, გალესა თეთრად, მოაწყო, რაც საჭირო იყო წირვა-ლოცვის შესრულებისათვის, დაიჭირა კაცი, რომელიც ჰყარაულობს ეკკლესიას და ადგილსაც. მერე დაიწყო ფულის და შემოწირულების შეკრება გალავნის ასაშენებლად. ზოგმა მრევლთაგანმა შემოწირულება აღუთქვეს ზოგმა ფულით, ხოლო ზოგმა-კი რამდენიმე 5—10 და 15-ის საჟ. გალავნის გაკეთება. თუმცა ამ კომიტეტის მოქმედებს ქების ღირსია და ცოდოა მაზე ვის თქმა, მაგრამ ცოტა არ იყოს ნელა მოქმედობს. მაგრამ ეს უფრო მრევლის ბრალია. სომხეთა სასაფლაოს მრევლი, მგონი, უფრო გვიან შეუდგა საქმეს და სულ ცოტა ხანში ნახევარი გალავანი შემოავლო კიდეც თავის სასაფლაოს. ეს ნახევარი გალანი იმ სიგრძეა, რომ ქართველთა სასაფლაოს ორჯელ შემოევლება.

დიმიტრაშვილი.

### ს. ბ. ლორთქიფანიძის ხსენებას

(წერილი ოდესიდან)

ტფილისიდან დეპეშამ შეგვატყობინა მეტად სამწუხარო ამბავი—გარდაცვალება ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტისა სიმონ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძისა, ოცდა ექვსი წლის ყმაწვილი კაცისა განსვენებულმა სწავლა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში ბუნების მეტყველების ფაკულტეტზედ. თავის მუყაითობით და მეცნიერებისადმი სიყვარულით მან თავიდანვე მიიქცია პროფესორების ყურადღება და ერთმა მათგანმა, პ. გ. მელიქიშვილმა, კიდეც დასტოვა ის უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად. თითქმის ორი წლის განმავლობაში განსვენებული გასაოცარის ენერგიით და გატაცებით ემსახურებოდა მეცნიერებას, თავის საყვარელ ქიმიას: პროფესორების ხელმძღვანელობით იწრთვნებოდა სპეციალურ კვლევა-ძიებაში და ამავე დროს თითონაც ხელმძღვანელობდა ლაბორატორიაში მომუშავე სტუდენტებს. 1899 წლის დამლევსვე განსვენებულმა დაასრულა პირველი თავისი შრომა „Perfluorborsaure“ პროფესორ მელიქიშვილის ხელმძღვანელობით და ანგარიში თავის შრომისა დაბეჭდვინა სპეციალურ გერმანულ ჟურნალში Berichte der deutschen chemischen Gesellschaft. მასვე ეკუთვნის მეორე გამოკვლევაც პროფესორ მელიქიშვილისავე ხელმძღვანელობით „Фторонадурановыя соединенія“, რომელიც დაბეჭდილ იქმნა რუსულ ჟურნალში—„Физикохимическій журналъ“ томъ 32 1900 წ.—ამ ბოლოს დროს განსვენებული იკვლევდა პროფესორ პეტრენკო-კრიტჩენკოს ხელმძღვანელობით ციკლიურ კეტონების თვისებებს „цикличекіе кетоны“, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა განსვენებულს ამ საინტერესო შრომის დამთავრება და უდროვოდ მოუსპო სიცოცხლე.

მთელი თავისი სიცოცხლე განსვენებულმა დაუცხრომელ მუშაობაში გაატარა. ბავშობაშიაც განსვენებული გატაცებით და დაულალავად სწავლობდა. უნივერსიტეტში ყოფნის დროს კი, თამამად შეგვიძლიან ვსთქვად, რომ თავისის სიბეჯითით მან ბევრს შრომას უჩვევ ქართველ სტუდენტს შეაყვარა რეგულიარული და ბეჯითი სწავლა-საქმიანობა.

მეცნიერების სიყვარულში ის არ ივიწყებდა ცხოვრებასა და თავის ძვირფას სამშობლოს. განსვენებულის მუდმივი სურვილი იყო ჩვენი მეცნიერულ ლიტერატურის გამდიდრება და ამიტომაც საჭიროდ სთვლიდა სპეციალურ წიგნების თარგმნას ქართულ ენაზე. იგი კიდეც შეუდგა ერთს მშვენიერ წიგნის თარგმნას, „ქიმია ყოველ-დღიურ ცხოვრებაში“ ლაზარ კონისა და ბლომადაც გადასთარგმნა, მაგრამ საბრალოს არ დასცალდა სამშობლოსათვის სამსახური. განსვენებული დიდის გატაცებით მხარს უწევდა ოდესის ქართველ სპეციალისტთა შორის გამოთქმულ აზრს ქართულ ქიმიურ ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ, მაგრამ ყოველივე ამ გვარ შრომაში მონაწილეობის მიღება არ არგუნა მას წილად შეუბრალებელმა ბედმა.

კვირას, 15 აპრილს, უნივერსიტეტის შენობაში მოხდა ქიმიკოსთა წრის კრება, რომლის წევრადაც ითვლებოდა განსვენებული ს. ბ. ლორთქიფანიძე. კრებაზე პროფესორმა პეტრენკო-კრიტჩენკომ წაიკითხა ანგარიში განსვენებულის უკანასკნელ შრომისა შემდეგის სათაურით «Къ характеристикѣ циклическимъ кетоновъ», რომელიც თითქმის დაასრულა განსვენებულმა ამავე პროფესორის ხელმძღვანელობით. ანგარიშის წაკითხვამდე პროფესორმა გამოაცხადა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის ს. ბ. ლოთქიფანიძის გარდაცვალების ამბავი და სთხოვა დამსწრე საზოგადოებას ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულისათვის; შემდეგ მოაგონა დამსწრე საზოგადოებას, რომ განსვენებულს ეკუთვნოდა მთელი ფაქტიური მასალა ანგარიშში მოყვანილ კითხვის შესახებ და სულით და გულით გაუზიარა დამსწრეთ თავისი მწუხარება ისეთ ძვირის მუშაკის და მეცნიერების მოყვარულ ადამიანის დაკარგვის გამო, როგორიც იყო განსვენებული ჩემი მოწაფეო. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ პროფესორმა განაცხადა, რომ უკანასკნელი. თითქმის დამთავრებული შრომა განსვენებულისაო, დასტამბული იქნება სპეციალურ რუსულ ჟურნალშიო.

საბა

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 აპრილი.

**ნოვოჩერკასკი** ჯეჯილები და ბალახი კარგი მოვიდა; წვიმები იყო. მიწის მომქმედთ იმედი აქვთ კარგი მოსავლისა.

**იოჰანესბურგი.** მაისის პირველ რიცხვებიდან ბურები იკრიბებიან არტებესტფონტენის გარშემო, სადაც დელარეის უფროსობით ოთხ-ხუთ ათას კაცამდე უნდა იყოს. ბურებს გორაკებზე კარგი პოზიცია უჭირავთ. ბაბინგტონი შეეცადა ბურებთან შებმას, მაგრამ მას მეტად მცირე ჯარი ჰყავს და თავ-დასხმას ვერ ახერხებს. ამიტომ მას გაუგზავნეს მაშველი ჯარი. გენერლები მეტუენი და როულიტონი უახლოვდებიან გარტებესტფონტეინს. ეტყობა, ბრძოლა მოუხდებათ. ჰფიქრობენ, ბურები ვერ გაიმაგრებენ პოზიციციას, რადგანაც არტილერია არა ჰყავთ.

**იოკოჰამა.** სეულიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, რომ იქ გამოუცხადებიათ ახალი სესხის პირობები. სინდიკატი, რომელიც იუნნანში შესდგა ამ სესხის გასაცემად, სესხის მეათედ ნაწილს იტოვებს ბანკის ცასაარსებლად, მთავრობა კი კისრულობს 24 წელიწადს დაუბრუნოს ხუთი მილლიონი იენი: სახელმწიფო ბაჟები დანიშნულია სესხის უზრუნველ საყოფელად. იაპონიაში სამინისტრო კრიზისი გრძელდება.

**ტიანძინი.** ელჩები და გენერლები შეთანხმდნენ შეადგინონ კომისია, რომელსაც საგნად ექმნება გააუმჯობესოს მდინარე პეიხოზე ნაოსნობა. საკონსულო კორპუსი, დროებითი მთავრობა და დამოჟნების დირექტორი ჰნიშნავენ თითო წევრს ამ კომისიაში საკონსულო კორპუსიდან დანიშნულია გოპკინსკი, დროებით მთავრობისაგან რუსის გენერალი ვოგაკი, დამოჟნების დირექტორმა დანიშნა დ. ტრინგი.

**პეკინი.** ელჩების უმეტესობა მომავალ კვირაში მიდიან დასავლეთ მთებში საზაფხულო სამყოფლად. მათთან მიჰყავთ დამცველებად სამხედრო დარაჯთა რაზმი. სათათბიროდ და საჭირო საქმეთა გარდასაწყვეტად ელჩები ჩამოვლენ ხოლმე პეკინში.

ლონდონის მისიის ერთმა მისიონერმა განაცხადა, რომ, როგორც პროვინციებიდან მოსულ ამბებიდან სჩანსო, ქვეყანა საზარელ მდგომარეობაშიაო. უცხოელთადმი სიძულვილი და მუქარა ეხლა უფრო მეტია, ვიდრე წინედ. ჯარების გაყვანის უმალ ჩინელები გაუსვამენ ადგილობრივ ქრისტიანთ ხელსო.

**გლაზგო.** გლაზგოს გამოფენამ გაამართლა გამმართავთა მოლოდინი. 19 აპრილს გამოფენის გახსნის დღეს, მოვიდა 94,000 მნახველი.

რედაქტორი ალ. ჭუონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 20 აპრილს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,92½ |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 5½,—7% |

| | მყიდ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ა ნ ი | თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | 358½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — | 289½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | — | — | 219¼ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 88⅝ | — | [illegible] |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | [illegible] | [illegible] | 92[illegible] |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 89¼ | [illegible] | [illegible] |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 92½ | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | — | 92[illegible] |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 84¼ | — | — |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

სათოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1[illegible] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სათოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან [illegible] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

### საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის საავადმყოფო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო გიჟებისათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.



სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა. № 27.